შპს „ფრესკო ნიუ სტანდარტის“

ს/კ: 404506325

მის: ქ.თბილისი, ვ. გორგასლის ქ. N61

გენერალური დირექტორის: სოფიო კორძახია (პ/ნ: 01008022693)

თ ა ნ ხ მ ო ბ ა

თანხმობას ვაძლევ შპს ,,ჯეოსელ“-ს (ს.კ: 203841940) ქ.თბილისში, გორგასლის ქ. N 61 მდებარე უძრავი ქონება საკადასტრო კოდი 01.18.06.005.033, რომელიც არის შპს „ფრესკო ნიუ სტანდარტის“- ის საკუთრება და იჯარით სარგებლობს შპს ,,ჯეოსელი“ , დანართი N1-ში წარმოდგენილი პირობების შესაბამისად განათავსოს სარეკლამო აბრა საიჯარო ფართის ფასადზე.

გენერალური დირექტორი: სოფიო კორძახია

17.09.2018


№1 ქართული
სუპერმარკეტების ქსელი
8.30 m
6.05m
SILKNET | GEOCELL
სილქნეტი | ჯეოსელი
0.7
AA-755-00

იჯარის ხელშეკრულება

ქ.თბილისი 05 ნოემბერი 2015 წელი

ერთი მხრივ, **შპს "ჯეოსელი"** საიდ. კოდი: 203841940 (შემდგომში - მოიჯარე/ჯეოსელი) წარმოდგენილი ნინო მაჭავარიანის (პ/ნ: 01025015969) სახით, რომელიც მოქმედებს შპს "ჯეოსელის" გენერალური დირექტორის – პაველ სმალინსკის მიერ გაცემული მინდობილობის საფუძველზე და მეორე მხრივ, შპს "ფრესკო შოპინგ (ცენტრი" საიდ.კოდი: 406092570) წარმოდგენილი გენერალური დირექტორის ნესტან ბუცხრიკიძის სახით (შემდგომში ,,მეიჯარე"), ნების თავისუფალი გამოვლენის და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში - ხელშეკრულება) შემდეგზე:

(მეიჯარე და მოიჯარე ერთად მოიხსენიებიან, როგორც მხარეები, ხოლო ცალ-ცალკე მხარედ, კონტექსტის შესაბამისად)

1. **ხელშეკრულების საგანი**

1.1 წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მხარეები ვთანხმდებით, რომ მეიჯარე ხელშეკრულებით დადგენილი პირობებით, ვადითა და სასყიდლით გადასცემს მოიჯარეს დროებით სარგებლობაში, მის საკუთრებაში არსებული 5010.00 კვ.მ ფართიდან 135.20 კვ.მ-ს (შემდგომში იჯარის საგანს) წინამდებარე ხელშეკრულების N 1 დანართის შესაბამისად. აღნიშნული ფართი წარმოადგენს მეიჯარის საკუთრებას, რაც დასტურდება ამონაწერით საჯარო რეესტრიდან, მიწის (უძრავი ქონების) შესახებ (განცხადების რეგისტრაციის N 882014670824).

1.2 იჯარის საგანზე განთავსდება შპს „ჯეოსელის" მომსახურების და რეალიზაციის ოფისი, რასაც მოიჯარე გამოიყენებს შემდეგი მიზნებისათვის: მომსახურების და/ან პროდუქტების გაყიდვისათვის წერტილის/ადგილის ორგანიზება და მომხმარებლისათვის შესაბამისი მომსახურების გაწევა.

1.3 იჯარის საგანის მახასიათებლებია:

- მესაკუთრე: **შპს „ფრესკო შოპინგ ცენტრი" (ს/კ:406092570)**
- მისამართი: ქალაქი თბილისი, ქუჩა გორგასალი N 61, (ნაკვ. 5/33)
- ფართი. მიწის საკადასტრო კოდი: 01.18.06.005.033

2. **მხარეთა განცხადებები და გარანტიები**

2.1. მეიჯარე აძლევს გარანტიას და მოიჯარის სასარგებლოდ აცხადებს, რომ:

2.1.1. კანონით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად მეიჯარეს გააჩნია სრული უფლებამოსილება დადოს ხელშეკრულება მოცემული პირობებით და დებულებებით;

2.1.2. არ არსებობს კანონიერი ან სხვა დაბრკოლებები მოიჯარესთან წინამდებარე ხელშეკრულების დასადებად;

2.1.3. ხელშეკრულების დადების/ხელმოწერის დროისათვის არის/იქნება ქმედუნარიანი (მათ შორის, შექმნილი კანონმდებლობით დადგენილი წესით);

2.1.4. იჯარის საგანი იპოთეკით არ არის დატვირთული;

2.1.5. იჯარის საგანს არ აქვს ისეთი დაფარული ნაკლი, რაც მან არ აცნობა მოიჯარეს და რისი არსებობაც შეამცირებდა უძრავი ქონების ღირებულებას, ან ხელს შეუშლიდა იჯარის საგნის დანიშნულებისამებრ გამოყენებას;

2.1.6. მოიჯარეს მეიჯარის მიზეზით ხელი არ შეეშლება იჯარის საგნით სარგებლობაში, ხოლო ასეთის არსებობის შემთხვევაში მეიჯარე ვალდებულია საკუთარი ხარჯით დაიცვას მოიჯარე ყოველგვარი ხელშეშლისგან (მათ შორის, იჯარის საგნით მოიჯარის მიერ შეუზღუდავად სარგებლობისათვის უზრუნველყოს ყველა აუცილებელი ქმედების განხორციელება);

2.1.7. ხელშეკრულება იდება/დაიდება მის მიერ ნებაყოფლობით, მოიჯარის ან სხვა მესამე პირ(ებ)ის მხრიდან მის მიმართ ძალადობის, მუქარის, მოტყუების, შეცდომის ან/და რაიმე სხვა გარემოების გამოყენების გარეშე;

შპს ჯეოსელი GEOCELL LLC 203841940

მოიჯარე

მეიჯარე

2.1.8. ხელშეკრულების დადება და შესრულება არ იწვევს/გამოიწვევს იმ სახელშეკრულებო, სასამართლო (მათ შორის, საარბიტრაჟო სასამართლო), საკანონმდებლო ან/და სხვა ვალდებულებების დარღვევას, რომელთა დაცვაზეც ის პასუხისმგებელია;

2.1.9. ხელშეკრულების დადების/ხელმოწერის მომენტისათვის, ის არ მონაწილეობს არც ერთ დავაში (მოსარჩელის, მოპასუხის, მესამე პირის ან სხვა სახით), რითაც საფრთხე ექმნება მის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებას;

2.1.10. ხელშეკრულების დადების/ხელმოწერისა და მოქმედების მთელი პერიოდისათვის მისი საქმიანობა ან/და ქმედება შესაბამისობაში არის/იქნება საკუთარ წესდებასთან ან/და სხვა მარეგულირებელ დოკუმენტთან ან/და კანონმდებლობასთან;

2.1.11. ხელშეკრულების დადების/ხელმოწერისა და მოქმედების მთელი პერიოდისათვის იგი იცავს და დაიცავს ნებისმიერი ხელშეკრულების ან/და სხვა გარიგების პირობებს, ან/და სხვა ვალდებულებებს, რომელთა შეუსრულებლობამაც შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა იქონიოს მეიჯარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე;

2.1.12. მისი ქმედება არ არის/იქნება მიმართული მოიჯარის მოტყუებისაკენ. აღნიშნული პრინციპის გათვალისწინებით, ხელშეკრულების დასადებად ან მის საფუძველზე და შესასრულებლად, მის მიერ მოიჯარისათვის წარდგენილი დოკუმენტი ან/და ინფორმაცია მისი წარმოდგენის მომენტისათვის ასევე არის/იქნება უტყუარი, ზუსტი და სრული. ამასთანავე, მისთვის ცნობილია, რომ ყალბი დოკუმენტების ან/და ინფორმაციის მიწოდება კანონმდებლობის შესაბამისად წარმოადგენს დასჯად ქმედებას.

2.1.13. დაიცვას მოიჯარე ყოველგვარი დანაკარგისაგან, სარჩელისაგან, სანქციისაგან, მოთხოვნისაგან, ვალდებულებისაგან, ზიანისაგან და ხარჯებისაგან, რომლებიც დაკავშირებული იქნება მეიჯარის ან მესამე პირის ნებისმიერ ზიანთან, რომელიც ნებისმიერ დროს პირდაპირი ან არაპირდაპირი გზით გამოწვეული იქნება მეიჯარის მიერ გაცემული გარანტიების დარღვევასთან ან/და მის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობასთან ან/და არაჯეროვან შესრულებასთან;

2.2. მეიჯარის აღნიშნული განცხადებები და გარანტიები ძალაშია მხარეთა მიერ ხელშეკრულების საფუძველზე ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე, მიუხედავად ხელშეკრულების სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტისა;

2.3. მეიჯარე დაუყოვნებლივ, წერილობით აცნობებს მოიჯარეს ყველა იმ გარემოებ(ებ)ის შესახებ, რომელიც შეიძლება წინააღმდეგობაში მოვიდეს მის აღნიშნულ განცხადებებთან და გარანტიებთან ან/და გამოიწვიოს მათი დარღვევა; ასევე, ნებისმიერი ისეთი გარემოების დაწყების ან დადგომის შესახებ, რითაც საფრთხე შეექმნება მეიჯარის აქტივებს/ქონებას ან/და მის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებას;

2.4. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მხარეები თანხმდებიან, რომ მეიჯარე წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერის შემდგომ, მაგრამ არაუგვიანეს 2015 წლის 10 ნოემბრისა უზრუნველყოფს იმ პირობების შესრულებას, რომელიც მოცემულია ამ ხელშეკრულების N 2 დანართში. ყოველგვარი გაუგებრობის გამოსარიცხად მხარეები თანხმდებიან, რომ თუ მეიჯარე ვერ/არ შეასრულებს აღნიშნული ხელშეკრულების N 2 დანართში მოცემულ პირობებს, მეიჯარე ჯარიმის სახით გადაუხდის მოიჯარეს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ერთი თვის საიჯარო ქირის ღირებულების 50 %-ს.

2.5. მხარეები აცხადებენ და აცნობიერებენ, რომ მოიჯარე მხოლოდ მეიჯარის ზემოაღნიშნული განცხადებების და გარანტიების საფუძველზე და მათზე დაყრდნობით დებს/დადებს და შეასრულებს ხელშეკრულებას;

2.6. მოიჯარე აცხადებს, აძლევს გარანტიას და იღებს ვალდებულებას მეიჯარის სასარგებლოდ, რომ:

2.6.1. იგი უფლებამოსილია, მისი სადამფუძნებლო დოკუმენტებისა და კანონით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად, დადოს წინამდებარე ხელშეკრულება მოცემული პირობებით და დებულებებით;

2.6.2. ხელშეკრულების დადების/ხელმოწერის დროისათვის არის/იქნება ქმედუნარიანი (მათ შორის, შექმნილი კანონმდებლობით დადგენილი წესით).

2.7. მოიჯარემ იცის, რომ მეიჯარე ეყრდნობოდა წინამდებარე გარანტიებს მოიჯარესთან ხელშეკრულების დადებაზე გადაწყვეტილების მიღებისას.

2.8. მოიჯარისთვის ცნობილია იჯარის საგნის მდგომარეობა და მისაღებია მისი ხარისხი იმ სახით, რა სახითაც არსებობს წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტისთვის.

3. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

მოიჯარე

მეიჯარე

3.1. მოიჯარე უფლებამოსილია:

3.1.1. საკუთარი შეხედულებისამებრ და ხარჯით მეიჯარის თანხმობის ან/და ნებართვის გარეშე, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შეცვალოს ინტერიერი, განათავსოს სარეკლამო აბრები და ა.შ.

3.1.2. მეიჯარესთან წინასწარი შეთანხმებით, საიჯარო ფართზე მოახდინოს უძრავი ქონების რეკონსტრუქცია და ჩაატაროს სარემონტო სამუშაოები. ყოველგვარი გაუგებრობის გამოსარიცხად, მხარეები თანხმდებიან, რომ მეიჯარე შესაბამისი მიმართვიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში ვალდებულია შეითანხმოს/გასცემს თანხმობა მოიჯარის მიერ მსგავსი სახის სამუშაოების განხორციელებაზე, თუ აღნიშნული ზიანს არ აყენებს მის ქონებას ან/და მის ბიზნეს ინტერესებს ან/და არ საჭიროებს მესამე პირებისაგან დამატებით თანხმობას

3.1.3. იჯარის საგანი სარგებლობის უფლებით, სრულად ან/და ნაწილობრივ გადასცეს ნებისმიერ მესამე პირს, თუ არ იცვლება იჯარის საგნის გამოყენების მიზანი და პირობები, რაზეც მეიჯარეს გაცემული აქვს გამოუთხოვადი წინასწარი თანხმობა;

3.1.4. იჯარის მიზნიდან გამომდინარე, შეუზღუდავად და ყოველგვარი ხელშეშლის გარეშე ისარგებლოს იჯარის საგნით;

3.1.5. მოსთხოვოს მეიჯარეს ხელშეკრულების პირობების შესრულება;

3.1.6. გამოიყენოს ხელშეკრულებით და კონონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებები.

3.2. მოიჯარე ვალდებულია

3.2.1. ისარგებლოს იჯარის საგნით მხოლოდ წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი მიზნით;

3.2.2. გაუფრთხილდეს იჯარის საგანს და უზრუნველყოს მისი ჯეროვანი მოვლა-პატრონობა;

3.2.3. დაფაროს მიმდინარე ხარჯები, რაც დაკავშირებულია იჯარის საგნით სარგებლობასა და მის ჯეროვან მოვლასთან;

3.2.4. დაიცვას საქართველოში მოქმედი სანიტარულ-ჰიგიენური და სახანძრო უსაფრთხოების ნორმები;

3.2.5. შეინარჩუნოს იჯარის საგნის მდგომარეობა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში, ნორმალური ცვეთის გათვალისწინებით;

3.2.6. დაუბრკოლებლად უზრუნველყოს მეიჯარის წარმომადგენელთა დაშვება მის მიერ იჯარით აღებულ ფართზე. დაშვება უნდა განხორციელდეს მხოლოდ იჯარის საგნის დათვალიერების მიზნით, მოჯარის წარმომადგენლის თანხლებით და წინასწარ ურთიერთშეთანხმებულ დროს;

3.2.7. გადაიხადოს საიჯარო ქირა წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი პირობით;

3.2.8. კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად აანაზღაუროს ნებიმიერი ზიანი/ზარალი, რომელიც მიადგება მეიჯარეს მოიჯარის ან მისი წარმომადგენლების ქმედებით;

3.2.9. უზრუნველყოს იჯარის საგანზე მხოლოდ მის მიერ განთავსებული ჩილერის დანადგარის მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის გადახდა;

3.2.10. კეთილსინდისიერად და ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები.

3.3. მეიჯარე უფლებამოსილია:

3.3.1. იჯარით გადაცემულ ფართში შევიდეს დაუბრკოლებლად, რის შესახებ წინასწარ ატყობინებს მოიჯარეს. მოიჯარეს უფლება აქვს საკუთარი წარმომადგენელი დაასწროს მეიჯარის მიერ ფართის დათვალიერების პროცედურას. გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ ავარიული და ისეთი გაუთვალისწინებელი შემთხვევები, რა დროსაც საფრთხე ექმნება იჯარის საგანს. ასეთ დროს, მეიჯარე უფლებამოსილია შევიდეს იჯარით გადაცემულ ტერიტორიაზე მოიჯარის წინასწარი შეტყობინების გარეშე.

3.3.2. მოსთხოვოს მოიჯარეს ხელშეკრულების პირობების შესრულება;

3.3.3. გამოიყენოს ხელშეკრულებით და კონონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებები.

3.4. მეიჯარე ვალდებულია:

3.4.1. მოიჯარს გადასცეს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო იჯარის საგანი (უძრავი ქონება);

3.4.2. მოიჯარეს კეთილსინდისიერად და სრულად გააცნოს იჯარის საგნის მდგომარეობა;

3.4.3. მოიჯარის თანხმობის გარეშე არ გახსნას სააპარატურო კარადა ან/და არ განახორციელოს რაიმე მოქმედება იჯარის საგანზე განთავსებულ აპარატურაზე;

3.4.4. წინასწარ შეატყობინოს მოიჯარეს იჯარის საგნის გასხვისების ან/და რაიმე ფორმით უფლებრივად დატვირთვის შესახებ;

3.4.5. წინასწარ, ერთი (1) თვით ადრე შეატყობინოს მოიჯარეს შენობის/უძრავი ქონების დაგეგმილი კაპიტალური რემონტის და/ან სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესახებ, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც სამუშაოების თაობაზე არ იყო ცნობილი ერთი თვით ადრე. იმ შემთხვევაში, თუ კაპიტალური რემონტის ან/და

მოიჯარე

მეიჯარე

სარეკონსტრუქციო სამუშაოების, ან/და მეიჯარის მიერ ვალდებულებების ჯეროვნად შეუსრულებლობის შედეგად შეუძლებელი გახდება ფართით ჯეროვნად სარგებლობა მოიჯარეს უფლება აქვს გავიდეს ხელშეკრულებიდან კანონითა და ამ ხელშეკრულებით დადგენილი წესით;

3.4.6. იჯარის საგანზე საკუთრების უფლება გადასცეს მესამე პირს მხოლოდ მოიჯარისათვის შეთავაზებული პირობებით და იმის გათვალისწინებით, რომ მესამე მხარე თანახმა იქნება გააგრძელოს ხელშეკრულება იმავე პირობებით;

3.4.7. ხელი არ შეუშალოს მოიჯარეს იჯარის საგნით სარგებლობაში და განახორციელოს ყველა აუცილებელი ქმედება, რათა მოიჯარემ შეძლოს იჯარის საგნის გამოყენება ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნების შესაბამისად;

3.4.8. იჯარის საგანი მოიჯარეს გადასცეს ვარგის მდგომარეობაში, რათა მოიჯარემ შეძლოს მისი გამოყენება ხელშეკრულებით განსაზღვრული მიზნით და ამავდროულად იჯარის მთელი დროის განმავლობაში შეინარჩუნოს ნივთის (უძრავი ქონების) ეს მდგომარეობა.

3.4.9. კეთილსინდისიერად და ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები.

4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის 2015 წლის 01 ნოემბრიდან და მოქმედებს 2025 წლის 01 ნოემბრამდე. მოიჯარეს უნარჩუნდება ხელშეკრულების გაგრძელების ან განახლების უპირატესი უფლება. ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდგომ, თუ მხარეები ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე ერთი თვით ადრე ერთმანეთს წერილობით არ აცნობებენ ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, ხელშეკრულება გაგრძელდება ავტომატურად, მანამდე არსებული პერიოდით და პირობებით.

5. საიჯარო ქირა და ანგარიშსწორების პირობები

5.1. წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული საიჯარო ქირის ოდენობა ყოველთვიურად შეადგენს 3000 (სამიათასი აშშ დოლარი) აშშ დოლარს, ყველა სახელმწიფო გადასახადის (მათ შორის, დღგ) ჩათვლით. აღნიშნული ფასი, აგრეთვე მოიცავს ყველა კომუნალურ (ელ.ენერგია (გარდა ჩილერის მიერ მოხმარებული ელ. ენერგიისა), წყალი, გაზი, დასუფთავების მოსაკრებელი და ა.შ) გადასახადს.

5.2. მოიჯარე ვალდებულია მეიჯარეს ქირა გადაუხადოს საანგარიშო თვის ბოლო დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აშშ დოლართან მიმართებაში ლარის ოფიციალურად დადგენილი გაცვლითი კურსის შესაბამისად, ეროვნულ ვალუტაში. მეიჯარე ვალდებულია საიჯარო ქირის ოდენობის შესაბამის თანხაზე მოიჯარეს გამოუწეროს/მიაწოდოს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა.

5.3. მოიჯარე ვალდებულია ხელშეკრულების 5.2 პუნქტით განსაზღვრული წესის შესაბამისად გამოწერილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის დადასტურებიდან არაუგვიანესს 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის განმავლობაში, მეიჯარეს უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, გადაუხადოს ქირა იმ თანხის ოდენობით, რაც დაფიქსირებული იქნება მეიჯარის მიერ მოიჯარისათვის ხელშეკრულების პირობების შესაბამისად გამოწერილ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურაში.

5.4. მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე ხელშეკრულებით დათქმული საიჯარო ქირა ფიქსირებულია და იგი არ ექვემდებარება გადასინჯვას ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში გარდა ამ ხელშეკრულების 5.6 პუნქტით გათვალისწინებული პირობებისა,;

5.5. მხარეები თანხმდებიან, რომ ამ ხელშეკრულების 5.1 პუნქტით გათვალისწინებული ქირის გადახედვა შესაძლებელია მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე ხელშეკრულების გაფორმებიდან ყოველ სამ წლიწადში ერთხელ.

5.6. მხარეები თანხმდებიან, რომ ხელშეკრულების მოქმედების გარკვეულ პერიოდში, თუ მეიჯარის მიზეზით მოიჯარე ფაქტიურად ვერ ახერხებს იჯარის საგნით სარგებლობას, მეიჯარეს უფლება არ აქვს მოითხოვოს მოიჯარისგან აღნიშნულ ვადაზე (დროის პერიოდი, როდესაც ფაქტობრივად შეუძლებელია იჯარის საგნით სარგებლობა) ქირის გადახდა.

6. ხელშეკრულების შეწყვეტა

6.1. მხარეთა შეთანხმებით, ხელშეკრულება ვადაზე ადრე შეიძლება შეწყდეს შემდეგ შემთხვევებში:

6.1.1. მეიჯარის მიერ, მოიჯარისათვის სულ მცირე ერთი თვით ადრე გაკეთებული წერილობითი შეტყობინების საფუძველზე, თუ:

მოიჯარე	*მეიჯარე*
------------------	------------------

6.1.1.1. მოიჯარე გახდება გადახდისუუნარო;
6.1.1.2. მოიჯარე ვერ შეძლებს საიჯარო ქირის გადახდას ორ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში;
6.1.1.3. მოიჯარე არღვევს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს და აღნიშნული დარღვევა არ იქნება გამოსწორებული შესაბამისი წერილობითი შეტყობინების მიღებიდან 1 (ერთი) ვადაში;
6.2. მეიჯარის მიერ მოიჯარისათვის სულ მცირე 12 (თორმეტი) თვით ადრე გაკეთებული წერილობითი შეტყობინების საფუძველზე. ყოველგვარი გაუგებრობის გამოსარიცხად, მსგავს შემთხვევაში, ხელშეკრულება შეწყვეტილად ჩაითვლება მხოლოდ მეიჯარის შეტყობინებიდან 12 (თორმეტი) თვის ვადის გასვლის შემდეგ.
6.3. მხარეები, თანხმდებიან, რომ თუ მეიჯარის მიერ ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტა განხორციელდება ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების დაუცველად ან/და მის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევა ატარებს სისტემატურ ხასიათს, რომლის გამოც მოიჯარე იძულებულია ვადაზე ადრე შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება, მსგავს შემთხვევაში, მეიჯარე ვალდებულია მოიჯარეს ზიანის სახით აუნაზღაუროს ის თანხა, რაც მოიჯარემ გასწია იჯარის საგნის გასარემონტებლად/აღსაჭურვად.
6.4. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე, მოიჯარე უფლებამოსილია ცალმხრივად, ვადაზე ადრე, ნებისმიერ დროს შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიზეზების მითითების გარეშე, თუ ამის შესახებ მოიჯარემ მეიჯარეს წერილობით შეატყობინა 3 (სამი) თვით ადრე.
6.5. წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტის, მათ შორის, ვადის გასვლის დროს, მოიჯარე უფლებამოსილია იჯარის საგანი დაცალოს არაუმეტეს 3 (სამი) თვის განმავლობაში, საკუთარი ხარჯით და ამავდროულად, ფართის დაცლამდე პერიოდზე მეიჯარეს სრულად გადაუხადოს შეთანხმებული ქირა. ფართის დაცლის დროს მოიჯარემ უნდა აღადგინოს მისი პირვანდელი მდგომარეობა, ბუნებრივი ცვეთის გათვალისწინებით, თუ მხარეებს შორის არ იარსებებს სხვა სახის შეთანხმება. მოიჯარის აღნიშნული ვალდებულება არ იარსებებს, თუ ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტა ხორციელდება მეიჯარის მიზეზით/ინიციატივით.
6.6. უძრავი ქონების მესაკუთრის ცვლილება არ იწვევს წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტას ან/და ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების ცვლილებას.

7. მოქმედი სამართალი და დავების გადაწყვეტა

7.1. წინამდებარე ხელშეკრულება განიმარტება და რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
7.2. ნებისმიერი დავა, რომელიც ეხება ან გამომდინარეობს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გადაწყდება საქართველოს სასამართლოს მიერ. მხარეები თანხმდებიან, რომ პირველი ინსტანციის (რაიონული/საქალაქო) სასამართლოს გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ მიექცევა აღსასრულებლად და გასაჩივრება არ შეაფერხებს აღსრულების პროცესს.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არასათანადოდ შესრულებისთვის მხარეები პასუხს აგებენ წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად.
8.2. მოიჯარის მიერ საიჯარო ქირის გადაუხდელობის შემთხვევაში, მას დაეკისრება პირგასამტეხლო გადაუხდელი თანხის 0.1 %-ის ოდენობით, დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, გადახდის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. .
8.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მოიჯარეს დარჩენილი ვალდებულებების შესრულებლისგან.

9. უფლებამონაცვლეობა

იჯარის საგნის მესამე პირზე გასხვისების შემთხვევაში, იჯარის საგნის ახალი მესაკუთრე ხდება მეიჯარის უფლებამონაცვლე იმ ურთიერთობაში, რომელიც არსებობს წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე.

10. დაუძლეველი ძალა

10.1. მხარეები თავისუფლდებიან წინამდებარე ხელშეკრულების დებულებათა შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან, თუ შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალით.
10.2. წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებისთვის, დაუძლეველი ძალა წარმოადგენს მოვლენას, რომელიც მხარეების გონივრული კონტროლის მიღმაა და რომელიც შეუძლებელს ხდის წინამდებარე ხელშეკრულებით

მოიჯარე *მეიჯარე*

203841940

ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას, რაც მოიცავს ომს, სამოქალაქო არეულობას, მიწისძვრას, ხანძარს, აფეთქებას, შტორმს, წყალდიდობას, უკიდურესად გაუარესებულ ამინდს, გაფიცვას, კონფისკაციას ან/და სახელმწიფო ორგანოების სხვა ქმედებას.

10.3. დაუძლეველი ძალით დაზარალებულმა მხარემ ამგვარი მოვლენის შესახებ დაუყოვნებლივ, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში ამგვარი მოვლენის დადგომიდან არაუგვიანეს 14 დღისა, უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს და წარმოუდგინოს მას სათანადო მტკიცებულება ამგვარი მოვლენის ხასიათის, გამომწვევი მიზეზების და სავარაუდო ხანგრძლივობის შესახებ და აგრეთვე, დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს ვითარების გამოსწორების შესახებ.

10.4. თუ დაუძეველი ძალით გამოწვეული ვითარება 30 (ოცდაათი) კალენდარულ დღეზე მეტ ხანს გასტანს, მხარეებმა უნდა მიიღონ გადაწყვეტილება წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტის ან ვითარების გამოსწორების დალოდების შესახებ.

11. შეტყობინებები

11.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომლის რომელიმე მხარისგან გაგზავნაც მოთხოვნილი ან გათვალისწინებულია წინამდებარე ხელშეკრულებით, უნდა შესრულდეს წერილობით და უნდა ჩაბარდეს (ა) პირადად, (ბ) რეგისტრირებული ფოსტით, რომელიც იძლევა შესაბამის ქვითარს, ან (გ) ტელეფაქსით, რაც შემდგომში დადასტურდება ფოსტით;

11.2. ფოსტით გაგზავნილი ნებისმიერი შეტყობინება მხარეებს უნდა გაეგზავნოთ ხელშეკრულებაში მოცემულ მისამართებზე, რომელთა შეცვლაც შესაძლებელია წინამდებარე მუხლით განსაზღვრული წესით შეტყობინების გაგზავნის საფუძველზე. წინამდებარე მუხლის თანახმად გაგზავნილი ნებისმიერი შეტყობინება ჩაბარებულად ჩაითვლება (ა) პირადი ჩაბარების თარიღზე, (ბ) ფოსტის მიღების თარიღზე, ან (გ) ტელეფაქსის გაგზავნის მომდევნო სამუშაო დღეს.

11.3. ხელშეკრულებაში მითითებული მხარეთა მისამართების და რეკვიზიტების შეცვლის შემთხვევაში მხარეებმა წერილობით უნდა შეატყობინონ მეორე მხარეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.

12. კონფიდენციალურობა

12.1. მხარეები ვალდებულნი არიან არ გაამჟღავნონ წინამდებარე ხელშეკრულებასთან, მის დებულებებთან, მოლაპარაკებებთან, ტრანზაქციასთან და ზოგადად გარიგებასთან დაკავშირებული ინფორმაცია, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევებისა და მხარის წინასწარი წერილობითი თანხმობით;

12.2. მხარეები უზრუნველყოფენ წინამდებარე მუხლის დებულებების შესრულებას მათი დასაქმებულების და ნებისმიერი იმ პირის მიერ, რომელსაც აქვს წვდომა მხარეების ხსენებულ ინფორმაციაზე;

12.3. წინამდებარე მუხლით განსაზღვრული ვალდებულებები ძალაში რჩება წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი მიზეზით შეწყვეტის შემდეგაც. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს წინამდებარე ხელშეკრულების დარღვევის გამო მიყენებულ ზარალს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის პირობების შესაბამისად.

13. ანტიკორუფციული ღონისძიებები

13.1. მეიჯარე აცხადებს, იძლევა გარანტიას და ადასტურებს რომ:

13.1.1. მისთვის ცნობილია "თელიასონერას" პოლიტიკა, რომელიც მკაცრად კრძალავს როგორც მისი, ასევე მონათესავე საწარმოს დირექტორის, უფლებამოსილი პირის, წარმომადგენლის, თანამშრომლის, სხვა პერსონალის ან მასთან დაკავშირებული პირის მონაწილეობას იმგვარ ქმედებებში, რაც გულისხმობს ღირებულების მქონე რაიმე ნივთის/არამატერიალური ქონებრივი სიკეთის შეთავაზებას ან მიღებას (პირდაპირ თუ არაპირდაპირ), ბიზნესის არაკეთილსინდისიერად მოპოვების ან შენარჩუნების, სარგებელის ან/და სხვაგვარი ბიზნეს უპირატესობის მიღების მიზნით.

13.2. მეიჯარეს (მათ შორის, არც მის დირექტორს, უფლებამოსილ პირს, წარმომადგენელს, თანამშრომელს ან სხვა პერსონალს) ან მასთან დაკავშირებულ პირს ან/და მის მონათესავე საწარმოს:

მოიჯარე

მეიჯარე

13.2.1. ჯეოსელთან დაკავშირებული არცერთი ხელშეკრულების გაფორმებისას, პირდაპირ ან არაპირდაპირ არ გადაუხდია, არ მიუღია, არ ჩართულა რაიმე გარიგებაში, რომლის მიხედვითაც უნდა გადაიხადოს ან მიიღოს, ნებისმიერი უკანონო ან/და დაფარული საკომისიო, ქრთამი, სასყიდელი ან/და ანაზღაურება;

13.2.2. არ განუხორციელებია რაიმე ქმედება (ფარული შეთანხმების ჩათვლით), რასაც შესაძლოა გავლენა მოეხდინა ხელშეკრულების დადებაზე, რომლის მიზანია ფასების ხელოვნური რეგულირება ან/და არაკონკურენტული გარემოს შექმნა ან/და დირექტორის, უფლებამოსილი პირის, წარმომადგენლის, თანამშრომლის, სხვა პერსონალის ან მასთან დაკავშირებული პირის ან/და მისი მონათესავე საწარმოს ქმედებებზე, ასევე რომელიმე ზემოაღნიშნული პირის მხრიდან არ ჰქონია ადგილი მუქარას მისი ქონების ან რეპუტაციის მიმართ, ბიზნეს უპირატესობის არაკეთილსინდისიერად მოპოვების, ან ბიზნესის წარმოების მიზნით ან/და სხვაგვარად არ ყოფილა ჩაბმული კორუფციულ საქმიანობაში.

13.3. „თელიასონერას“ პოლიტიკის, რომელიც თან ერთვის აღნიშნულ ხელშეკრულებას დანართის სახით ან ნებისმიერი ზემოაღნიშნული დებულების დარღვევა გამოიწვევს როგორც ამ, ისე ჯეოსელთან აქამდე გაფორმებული ნებისმიერი ხელშეკრულების შეწყვეტას. ამასთან, ამგვარი შეწყვეტა არ გამორიცხავს მეიჯარის ან/და მისი დირექტორის, უფლებამოსილი პირის, წარმომადგენლის, თანამშრომლის, სხვა პერსონალის ან მასთან დაკავშირებული პირის ან/და მონათესავე საწარმოს პასუხისმგებლობას და შესაბამის სანქციებს, რაც გათვალისწინებულია კანონმდებლობით. (მათ შორის, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობასაც).

13.4. აღნიშნული განცხადებები და გარანტიები ძალაშია მხარეთა მიერ ამ ხელშეკრულების ან/და ჯეოსელთან აქამდე გაფორმებული ყველა სხვა ხელშეკრულებ(ებ)ის საფუძველზე ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე, მიუხედავად ასეთი ხელშეკრულებ(ებ)ის სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტისა.

13.5. მეიჯარე დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს ჯეოსელს ყველა იმ გარემოებ(ებ)ის შესახებ, რომელიც შეიძლება წინააღმდეგობაში მოვიდეს თელიასონერას პოლიტიკასთან ან/და გამოიწვიოს ამ გარანტიების დარღვევა; ასევე, ნებისმიერი ისეთი გარემოების დაწყების ან დადგომის შესახებ, რითაც საფრთხე შეექმნება ხელშეკრულებ(ებ)ით ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებას.

14. სხვა და დასკვნითი დებულებები

14.1. წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა დასაშვებია მხოლოდ მხარეთა ურთიერთშეთანხმების გზით, წერილობითი ფორმით.

14.2. ხელშეკრულების ხელმოწერამდე არსებული ყველა გარიგება, რომელიც დადებულია ამავე მხარეებს შორის ამავე საგანზე და მიმოწერა ძალას კარგავს წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმების დღიდან;

14.3. წინამდებარე ხელშეკრულების ყველა დამატება წარმოდგენს მის განუყოფელ ნაწილს;

14.4. მხარეები ადასტურებენ, რომ ხელშეკრულების შინაარსი ზუსტად გამოხატავს მხარეთა ნებას და რომ მათ მიერ ნების გამოვლენა მოხდა ხელშეკრულების შინაარსის გონივრული განსჯის შედეგად და არამარტო სიტყვა-სიტყვითი მნიშვნელობიდან;

14.5. ნებისმიერი და ყოველი უფლება, რომელიც მიენიჭება მხარეს მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების ან/და კანონმდებლობის სრულად ან ნაწილობრივ დარღვევის შედეგად, კრებითია და დაემატება ხელშეკრულებით, ან/და კანონმდებლობით მინიჭებულ ყველა სხვა უფლებას;

14.6. ერთ-ერთი მხარის მხრიდან ხელშეკრულების ან/და კანონმდებლობის სრულად ან ნაწილობრივ დარღვევასთან დაკავშირებით მეორე მხარის მიერ მისთვის მინიჭებული უფლებების გამოუყენებლობა არ გავრცელდება ხელშეკრულების ან/და კანონმდებლობის ნებისმიერ შემდგომ დარღვევაზე;

14.7. ხელშეკრულების რომელიმე მუხლის, პუნქტის ან/და ქვეპუნქტის ბათილობა არ გამოიწვევს მთლიანად ხელშეკრულების ან/და მისი სხვა მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის ბათილობას. ბათილი დებულების ნაცვლად, გამოიყენება იმგვარი დებულება, რომლითაც უფრო ადვილად მიიღწევა ხელშეკრულებით (მათ შორის, ბათილი დებულებით) გათვალისწინებული მიზანი;

14.8. ხელშეკრულებაში მხოლობით რიცხვში გამოყენებული სიტყვები გულისხმობს მრავლობითს და პირიქით;

14.9. ხელშეკრულების მუხლები, პუნქტები ან/და ქვეპუნქტები დანომრილია და დასათაურებულია მხოლოდ მოხერხებულობისათვის და ამ ფაქტს ხელშეკრულების ინტერპრეტაციისათვის მნიშვნელობა არ ენიჭება;

მოიჯარე

მეიჯარე

14.10. ხელშეკრულება მისი ვალდებულებებითა და უფლებებით ვრცელდება და სავალდებულოა მხარეთა უფლებამონაცვლეების, თუ სამართალმემკვიდრეებისათვის.
14.11. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 3 ეგზემპლარად, რომელიც გადაეცემა მხარეებს, ხოლო ერთი ეგზემპლარი წარედგინება საჯარო რეესტრის სარეგისტრაციო სამსახურს.

15. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

მოიჯარე - შპს „ჯეოსელი“
მის: ქ. თბილისი, გოთუას ქ. #3
ს/კ: 203841940
მომსახურე ბანკი:
სს “ვი-თი-ბი ბანკი ჯორჯია”
ბანკის კოდი: UGEBGE22
ა/ა # GE 64 VT 6600000444467944

წარმომადგენელი
ნინო მაჭავარიანი

შპს ჯეოსელი Geocell LLC 203841940

მეიჯარე - შპს ,,ფრესკო შოპინგ ცენტრი“
მის: ქ. თბილისი, ვახტანგ გორგასლის ქ. №61
ს/კ: 406092570
მომსახურე ბანკი:
სს “საქართველოს ბანკი”
ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/ა N GE95BG0000000336676400GEL

ნესტან ბუცხრიკიძის
დირექტორი

მოიჯარე

მეიჯარე



D&DN

„დემნა და დიანიც

თბილისი, ორთაჭალა, გორ
№61-ში, ,,ფრესკო,,-ს სუპერ
მდებარე შპს,, ჯეოსელი,, -ს
ფართის აზომვითი ნახ

არსებული ფართის გე

თანამდებობა	გვარი	ხ
დირექტორი	მ.დოლიძე	
შესრულა	გ.ირემაშვილი	

ე ქ ს პ ლ ი კ ა ც

საერთო ფართი - 1

შ ე ნ ი შ ვ ნ ა

ზომები მოყვანილია სანტიმეტრ
ფართები კვადრატულ მეტრებშ

ფორმატი	მასშ
A 4	1:1
გვერდი	რაოდ
ა-1	

დანართი #2

(მხარეების მიერ საიჯარო ფართთან დაკავშირებით განსახორციელებელი ქმედებები)

მეიჯარის მიერ განსახორციელებელი ქმედებები:

1. მეიჯარე მოიჯარეს აძლევს თანხმობას, რათა მან საიჯარო ფართის გამიჯვნა (სრული იზოლაცია მომიჯნავე ფართისგან) განახორციელოს წინამდებარე დანართზე თანდართული ნახაზის მიხედვით;
2. მეიჯარე მოიჯარეს აძლევს თანხმობას, რათა მან განახორციელოს საიჯარო ფართზე არსებული კიბის დემონტაჟი.
3. დემონტაჟის შედეგად, თუ კიბე არ დაზიანდება, მაშინ მის შენახვას და დასაწყობებას განახორციელებს მეიჯარე.
4. მეიჯარე კისრულობს ვალდებულებას მოიჯარის მიერ სარემონტო სამუშაოების დაწყებამდე განახორციელოს საიჯარო ფართის ჭერზე არსებული სახანძრო უსაფრთხოების სენსორების დემონტაჟი. ასევე, იგი უფლებას აძლევს მოიჯარეს საიჯარო ფართზე მოიჯარის შეხედულებისამებრ განხორციელდეს სახანძრო უსაფრთხოების სენსორების მონტაჟი;.
5. მეიჯარე უზრუნველყოფს საიჯარო ფართის უწყვეტი ელ. ენერგიით მომარაგებას შესაბამისი სიმძლარით . ყოველგვარი გაუგებრობის გამოსარიცხად, მოიჯარის მიერ საიჯარო ფართზე მოხმარებელი ელ.ენერგიის საფასური შედის საიჯარო ქირის ოდენობაში. ამასთან, მეიჯარე უზრუნველყოფს მოიჯარისათვის დამატებითი ელ. ენერგიის სიმძლავრის გამოყოფას "ჩილერის" დანადგარის გამართული ფუნქციონირებისათვის.
6. მეიჯარე უზრუნველყოფს, რომ "ჩილერის" მიერ მოხმარებული ელ. ენერგიის აღრიცხვა განხორციელდეს ცალკე დამონტაჟებული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მეიჯარემ უნდა განახორციელოს ყველა ქმედება, რათა მოიჯარე დადგენილი წესის შესაბამისად რეგისტრირებულ იქნეს აბონენტად სს "თელასში.
7. გამოუყოს და მიაწოდოს შესაბამისი (საიჯარო ფართზე არსებული ოფისის შეუფერხებელი მუშაობისათვის საჭირო ელ. ენერგია, გარდა "ჩილერის" ფუნქციონირებისათვის აუცილებელი სიმძლავრისა) ელ. სიმძლავრე მოიჯარეს მეიჯარის მფლობელობაში არსებული ელ. გენერატორიდან;
8. შენობის სახურავზე, რომელშიც განთავსებულია საიჯარი ფართი, მოიჯარეს გამოუყოს სათანადო (არანაკლებ 10 კვ.მ) სიდიდის ფართი ჩილერის დანადგარის განსათავსებლად. აღნიშნული ფართით სარგებლობის საფასურის შედის საიჯარო ქირაში

მოიჯარის მიერ განსახორციელებელი ქმედებები:

1. საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს მეიჯარის მფლობელობაში არსებული ფართის გასამიჯნად აუცილებელი ტიხრების მოწყობა, რათა საიჯარო ფართის მოცულობა განისაზღვროს 134 კვმ.-ით წინამდებარე დანართზე თანდართული ნახაზის მიხედვით.
2. საიჯარო ფართზე საკუთარი შეხედულებისამებრ განახორციელოს სახანძრო უსაფრთხოების სენსორების მონტაჟი.
3. საკუთარი შეხედულებისამებრ და წინამდებარე დანართზე თანდართული ნახაზის მიხედვით განახორციელოს სველი წერტილების, საკანალიზაციო და წყალმომარაგების გაყვანილობის მონტაჟი.
4. მოახდინოს საიჯარო ფართზე არსებული კიბის დემონტაჟი და ფართის დაცლის შემდეგ მისი მონტაჟი და პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენა მეიჯარესთან შეთანხმებით. უზრუნველყოს "ჩილერის" მიერ მოხმარებული ელ. ენერგიის საფასურის გადახდა;
5. საიჯარო ფართის განიავების მიზნით, განახორციელოს გარე ვიტრაჟების გარკვეულ ნაწილებში მინის ნაცვლად გაღებადი ალათების მოწყობა;

6. მეიჯარესთან წარდგენილი ვიზუალური მასალის შეთანხმებით (წერილობითი თანხმობა) განახორციელოს სარეკლამო ბრის მოწყობა საიჯარო ფართის ვიტრაჟის მთელ პერიმეტრზე, როგორც გარედან, ასევე შიდა პერიმეტრის ნაწილის მხარეს.

7. განახორციელოს საიჯარო ფართის ვიტრაჟის და გადახურვის შეხების ადგილას არსებული გამჭოლი სივრცის შევსება;

8. განახორციელოს საიჯარო ფართზე არსებული გათბობა/გაგრილების აპარატის საჰაერო არხების კორექტირება საკუთარი შეხედულებისამებრ, მათ შორის, მათი დამოკლება;

9. განახორციელოს საიჯარო ფართზე სველი წერტილებისათვის გათვალისწინებული საკანალიზაციო და წყალმომარაგების სისტემის მოწყობა საკუთარი შეხედულებისამებრ.

მეიჯარე

მოიჯარე

Geocell LLC
203841940

	თარიღი	გვერდი	
	2015-02-10	I(4)	
დამტკიცების თარიღი	საიდენტიფიკაციო კოდი	ვერსია	
2015-02-02	T 14079-10 Uen	1.0	დამტკიცებულია

დამტკიცებულია	მომზადებულია
“თელიასონერას” მად-ის იოჰან დუნელინდის მიერ	“თელიასონერა ჯგუფის” შესყიდვების სპეციალისტის ოსკარ ნილსონის მიერ

“თელიასონერა ჯგუფის” მომწოდებელთა ქცევის კოდექსი

იმ ბაზრებზე, სადაც ჩვენ ვახორციელებთ საქმიანობას, “თელიასონერა” სატელეკომუნიკაციო მომსახურების წამყვანი პროვაიდერი და სოციალური და ეკონომიკური ინფრასტრუქტურის არსებითად მნიშვნელოვანი ნაწილია. ჩვენ ვეწევით მომსახურებას, რომელიც საჭირო დროს და ადგილზე ხალხს და კომპანიებს მარტივად და ეფექტურად კომუნიკაციაში ეხმარება. ჩვენი ღირებულებები “გაბედე, იზრუნე და გაამარტივე” ჩვენი ყოველდღიური სამუშაოს ფუნდამენტია.

ჩვენი მიზანია გავხდეთ მსოფლიო კლასის მომსახურების კომპანია, რომელიც უზრუნველყოფს მაღალი ხარისხის მომსახურებას და ქსელებს. “თელიასონერა” “გაეროს გლობალური ხელშეკრულების” ხელმომწერი წევრია და ნაკისრი აქვს “მულტინაციონალური კომპანიების შესახებ ეუთოს გაიდლაინების” შესრულების პასუხისმგებლობა. აქედან გამომდინარე, წინამდებარე “მომწოდებელთა ქცევის კოდექსი” მივიღეთ იმის უზრუნველსაყოფად, რომ ჩვენც და ჩვენმა მომწოდებლებმაც ვიცოდეთ მდგრადობასთან დაკავშირებით ჩვენი მოლოდინები და თვალსაზრისი.

წინამდებარე “მომწოდებელთა ქცევის კოდექსი” შესაბამისობაშია “ჯგუფის ეთიკის და ქცევის კოდექსთან” და ეფუძნება საერთაშორისო ხელშეკრულებებს: “გაეროს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციას”, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენციებს, კორუფციის წინააღმდეგ გაეროს კონვენციას და “გარემოს დაცვისა და განვითარების შესახებ რიო-დე-ჟანეიროს დეკლარაციას”.

"თელიასონერას" ყველა კომპანია და თანამშრომელი ვალდებულია შეასრულოს ჩვენი "ჯგუფის ეთიკის და ქცევის კოდექსი". აგრეთვე, "თელიასონერას" ყველა მომწოდებელი ვალდებულია, როგორც მინიმუმ, შეასრულოს "მომწოდებელთა ქცევის კოდექსის" მოთხოვნები იმ შემთხვევაშიც კი, თუ ამ მოთხოვნებით გათვალისწინებული სტანდარტი უფრო მარალია, ვიდრე მოცემული ქვეყნის ადგილობრივი კანონონებით ან ნორმატიული აქტებით დადგენილი სტანდარტი.

წინამდებარე "მომწოდებელთა ქცევის კოდექსი" გამოიყენება ყველა იმ კომპანიის მიმართ, რომლებიც "თელიასონერა ჯგუფის" კომპანიას აწვდიან პროდუქტებს ან/და მომსახურებას, მათ შორის, მომწოდებლებისა და მათი ქვეკონტრაქტორების თანამშრომლებსა და კონსულტანტებს მიუხედავად იმისა, ისინი მუდმივი დასაქმებულები არიან თუ დროებითი, უშუალო დასაქმებულები არიან თუ არა ან მათზე უშუალო ხელმძღვანელობა ხორციელდება თუ არა.

"თელიასონერა" და ცალკეული მომწოდებელი ხელშეკრულების საფუძველზე შეიძლება შეთანხმდნენ დამატებით კონკრეტულ მოთხოვნებზე, თუ ეს სათანადოა ან აუცილებელია. "მომწოდებელთა ქცევის კოდექსი" ყოველთვის გათვალისწინებულია ქვეკონტრაქტორებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში.

მომწოდებელს უნდა ჰქონდეს "მომწოდებელთა ქცევის კოდექსის" შესრულების შემოწმების პროცედურა და მოთხოვნისთანავე მონაწილეობა მიიღოს "თელიასონერას" მიერ ორგანიზებულ თვითშეფასების პროცესში. "თელიასონერას" აქვს უფლება შეამოწმოს, როგორ ასრულებენ მომწოდებელი და ქვეკონტრაქტორები "მომწოდებელთა ქცევის კოდექსს" ან შესაბამის მოთხოვნებს. "ქცევის კოდექსთან" გამოვლენილი შეუსაბამობის შემთხვევაში, მომწოდებელი ვალდებულია "თელიასონერას" დასამტკიცებლად წარმოუდგინოს მაკორექტირებელი სამოქმედო გეგმა.

მომწოდებელი ვალდებულია გამუდმებით თვალყური ადევნოს "მომწოდებელთა ქცევის კოდექსის" ცვლილებებსა და დამატებებს. "თელიასონერა" "მომწოდებელთა ქცევის კოდექსში" შეტანილ ცვლილებებსა და დამატებებს განათავსებს შემდეგ ინტერნეტ-მისამართზე: http://www.teliasonera.com/en/sustainability-portal/.

მდგრადობის მიმართ "თელიასონერას" მტკიცე პოლიტიკა მოიცავს ღირებულებათა შექმნის მთელ ჯაჭვს და ამიტომ ჩვენი მომწოდებლებისგან მოვითხოვთ დახმარებას ამ პოლიტიკის პრაქტიკაში განსახორციელებლად. ამიტომ, როგორც "თელიასონერას" მომწოდებელი, თქვენ მოგეთხოვებათ "თელიასონერას" მომწოდებელთა ქცევის კოდექსის ქვემოთ მითითებული მოთხოვნების შესრულება და ქვეყნის შესაბამისი კანონების დაცვა.

ამ მოთხოვნებით განისაზღვრება შესრულების ის მინიმალური დონეები, რომლებიც "თელიასონერას" მომწოდებლებისგან მოითხოვება. როგორც მომწოდებელმა, თქვენ ასევე შეგიძლიათ ეს მოთხოვნები შეძლებისდაგვარად უფრო მაღალი დონითაც შეასრულოთ. საჭიროების შემთხვევაში, ხელშეკრულების საფუძველზე "თელიასონერა" და ინდივიდუალური მომწოდებლები შეიძლება კონკრეტულ დამატებით მოთხოვნებზეც შეთანხმდნენ.

1. სოციალური მოთხოვნები

1.1. ადამიანის უფლებები

- მომწოდებლის ან ქვეკონტრაქტორის მიერ დაქირავებულ ყველა დროებით თუ მუდმივ თანამშრომელს უნდა მოეპყრან პატივისცემით და ღირსეულად და მათ აქვთ ადამიანის ძირითადი უფლებებით სარგებლობის უფლება. მომწოდებელმა უნდა უზრუნველყოს მათთვის პირდაპირ თუ ირიბად მომუშავე ყველა თანამშრომელმა იცოდეს ეს უფლებები და ესმოდეს ისინი.
- გამოხატვის თავისუფლებისა და თანამშრომლების, კლიენტებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების პირადი ცხოვრების უფლების დაცვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.
- მრავალფეროვნებას ხელი უნდა შეეწყოს. აკრძალულია დისკრიმინაცია რაიმე ნიშნით და კერძოდ ეთნიკური, სქესობრივი, სექსუალური ორიენტაციის ნიშნით, ოჯახური, სოციალური თუ მშობლის სტატუსით, რელიგიური თუ პოლიტიკური მრწამსის, ეროვნების, შრომისუუნარობის, ასაკის ან საზოგადოებრივი გაერთიანების წევრობის ნიშნით.
- დაუშვებელია იმ პირის დასაქმება, რომლის ასაკიც სამუშაოზე მოწყობის კანონით გათვალისწინებულ მინიმალურ ასაკზე მცირეა. სასტიკად აკრძალულია მომწოდებლების, ქვეკონტრაქტორების ან დროებითი დასაქმების სააგენტოების მიერ ბავშვებისა და სამუშაოზე მოწყობის კანონით გათვალისწინებულ მინიმალურ ასაკზე უფრო პატარა ან თხუთმეტ (15) წლამდე (ამ ორიდან ასაკიდან რომელიც უფრო მაღალია) მცირეწლოვნების გამოყენება სამუშაოს შესასრულებლად. 18 (თვრამეტ) წლამდე დასაქმებულებმა არ უნდა იმუშაონ ღამის სმენაში და არ უნდა შეასრულონ საშიში ან მძიმე სამუშაო.
- "თელიასონერასთვის" იმ პროდუქტების მომწოდებლები, რომლებიც შეიცავს კალას, ვოლფრამს, ტანტალიტს ან/და ოქროს, ვალდებული არიან იქონიონ მკაფიო პოლიტიკა ყველა წიაღისეულთან დაკავშირებით და უზრუნველყონ მათი წარმოშობის წყაროს დადგენა.

1.2. შრომის უფლებები

- მომწოდებლის ან ქვეკონტრაქტორის მიერ დაქირავებულ ყველა დროებით თუ მუდმივ თანამშრომელს უნდა ჰქონდეს მისთვის გასაგებ ენაზე შედგენილი წერილობითი ხელშეკრულება. ხელშეკრულებით გათვალისწინებული უნდა იყოს: სამუშაო საათები, ზეგანაკვეთური შრომის ანაზღაურება, შეტყობინების წარდგენის ვადა, ხელფასი და გადახდის სიხშირე.
- ჩვეულებრივი სამუშაო კვირა არ უნდა აღემატებოდეს 48 საათს, ხოლო ზეგანაკვეთური შრომა უნდა იყოს ნებაყოფილობითი და არ უნდა აღემატებოდეს 12 საათს კვირაში, თუ კოლექტიური შრომის ხელშეკრულებებით სხვაგვარად არ არის დარეგულირებული. დასაქმებულებს უნდა ჰქონდეთ უფლება ისარგებლონ შვიდდღიან პერიოდში სულ მცირე ერთი დასვენების დღით მაინც.
- შრომის ანაზღაურება და პირობები უნდა იყოს სამართლიანი და აკმაყოფილებდეს ძირიტად საჭიროებებს, რაც არ უნდა იყოს შესაბამისი ქვეყნის კანონით გათვალისწინებულ მინიმალურ შრომის ანაზღაურებაზე ნაკლები და უნდა მოიცავდეს დახმარებებს და შეღავათებს. ზეგანაკვეთური შრომის ანაზღაურების განაკვეთები უნდა აღემატებოდეს ჩვეულებრივ სახელფასო განაკვეთებს.
- დასაქმებულებს მათთვის გასაგებ ენაზე უნდა მიეწოდოთ ინფორმაცია მათი დასაქმების პირობებისა და უფლებების შესახებ და მათ სრულად უნდა ესმოდეთ ეს პირობები. დასაქმებულებს უნდა წაახალისებდნენ საჩივრის შეტანის მექანიზმებით სარგებლობისგენ, მ.შ. იმისკენ, რომ თავიანთი საწუხარი გამოთქვან დასჯის ან ანგარიშსწორების შიშის გარეშე.
- სამსახურებრივი მოვალეობები, მათ შორის, დოკუმენტურად ასახული საშიში სამუშაოები, დადგენილი უნდა იყოს, უნდა ხდებოდეს მათი განახლება და ყველა დასაქმებულისა და კონსულტანტისთვის გაცნობა. ყველა დასაქმებულს უნდა ჰქონდეს წვდომა ისეთ ძირითად საშუალებებზე, როგორიცაა სასმელი წყალი, ტუალეტები და ადეკვატური დასვენების ოთახები ან საერთო საცხოვრებელი ფართები, რომლებიც სუფთაა, უსაფრთხოა და შეესაბამება დანიშნულებას.
- იძულებითი შრომის ნებისმიერი ფორმა სასტიკად აკრძალულია. დასაქმებულებს არ მოეთხოვებათ დეპოზიტების შეტანა ან პირადობის დამადასტურებელი ან ეკვივალენტური დოკუმენტების ორიგინალების წარდგენა. დასაქმებულებს აქვთ თავისუფლად გადაადგილების უფლება და არასამუსაო საათებში ტერიტორიის დატოვების პასუხისმგებლობა.
- არავინ უნდა დაექვემდებაროს ფიზიკურ სასჯელს, უკანონო დაკავებას, ფიზიკურ, სექსუალურ, ფსიქოლოგიურ ან სიტყვიერ შეწუხებას ან

შეურაცხყოფას. დისციპლინარული სასჯელის სახით თანხის ხელფასიდან დაქვითვა დაუშვებელია.

- ყველა დასაქმებულს აქვს პროფკავშირებში ან მსგავს ორგანიზაციებში გაწევრიანების ან არგაწევრიანების და კოლექტიური მოლაპარაკებების წარმოების თავისუფლება.

1.3. შრომის ჰიგიენისა და დაცვის მოთხოვნები

- მშენებლობის, საველე ტექმომსახურების, სარემონტო და ქსელის გაშვების მომსახურება ითვალისწინებს შემდეგს: ჩაკეტილ სივრცეში მუშაობა; დაკიდულ კონსტრუქციებზე მუშაობა/აწევის სამუშაოებს; მიწის/სამოქალაქო მშენებლობის/სამშენებლო სამუშაოები; რადიო სიხშირესთან დაკავშირებულ სამუშაოები; ელექტროსამონტაჟო სამუშაოები; სიმაღლეზე მუშაობა; ავტომანქანის მართვა უნდა სეესაბამებოდეს OHSAS (სამრეწველო უსაფრთხოებს და ჯანმრთელობის შეფასების სისტემის) 18001 ან ეკვივალენტ სტანდარტს; წინააღმდეგ შემთხვევაში, მომწოდებელმა "თელიასონერას" უნდა წარმოუდგინოს ეკვივალენტი სტანდარტის განხორციელების გეგმა.
- მომოწდებლის სამუშაო გარემოს უნდა ჰქონდეს ნორმალური სამუშაო პირობები და ეს გარემო უნდა იყოს უსაფრთხო და ჯანმრთელი, მათ შორის, ჯანმრთელი როგორც ფიზიკური, ასევე ფსიქოლოგიური თვალსაზრისით. დასაქმებულებს უნდა გადაეცეთ სათანადო ინფორმაცია შრომის ჰიგიენისა და დაცვის შესახებ და ჩაუტარდეთ შესაფერისი ტრეინინგი შრომის ჰიგიენისა და დაცვის საკითხებში, მათ შორის და არა მხოლოდ ისეთ საკითხებში, როგორიცაა: სახანძრო უსაფრთოება, ქიმიური ნივთიერებებისა და მანქანა-დანადგარების სწორად გამოყენება, საგანგებო სიტუაციებისადმი მზადყოფნა და პირველადი დახმარება.
- მიღებული უნდა იყოს სათანადო ზომები ფიზიკური ტრავმებისა და აგრეთვე ფსიქოლოგიური დაავადებების თავიდან ასაცილებლად და საშიში სამუშაო გარემოს თანდაყოლილი მიზეზების შესამცირებლად. მომწოდებელმა დასაქმებულებისთვის უფასოდ უნდა უზრუნველყოს შესაფერისი ინდივიდუალური დაცვის საშუალებები.

2. ანტიკორუფციული მოთხოვნები

- ყველა სახის კორუფცია, მათ შორის და არა მხოლოდ, გამოძალვა, მექრთამეობა, ფორმალობების დაჩქარებისთვის საკომისიოების გადახდა, ნეპოტიზმი, თაღლითობა და ფულის გათეთრება, სასტიკად აკრძალულია.

- არავის აქვს უფლება ვინმეს პირდაპირ თუ ირიბად შესთავაზოს, მოსთხოვოს, მისცეს ან ვინმესგან მიიღოს პირადი თანხა, საჩუქარი[1] ან სარგებელი მიკერძოებული მოპყრობის სანაცვლოდ, რომლის მიზანია საქმიანი გარიგებაზე ზემოქმედება ან პირადი ან საქმიან უპირატესობის მოპოვება. ეს ნორმა მოიცავს "თელიასონერას". მომწოდებლისა და მისი ქვეკონტრაქტორების როგორც ოჯახის წევრებს, ასევე დასაქმებულებს.
- "თელიასონერას" დასაქმებულებს მკაცრად ეკრძალებათ შესყიდვის პროცესში და საჯარო მოსამსახურეებთან დაკავშირებით ნებისმიერი სახის საჩუქრის მიღება ან მიცემა. გარდა ამისა, "თელიასონერას" დასაქმებულებს მკაცრად ეკრძალებათ მომწოდებლების პროდუქტებისა თუ მომსახურების რეკლამაში ან სარეკლამო მასალაში მონაწილეობის მიღება.
- "თელიასონერას" შესყიდვების განყოფილების თანამშრომლებმა საჩუქრების მიღება ან მიცემა შეიძლება განახორციელონ მხოლოდ "თელიასონერას" სახელით. თუ ამ საჩუქრებს აქვს მკაფიო საქმიანი მიზანი, შესაფერისია საქმიანი ურთიერთობის ბუნებისთვის და შეზღუდული ღირებულებისაა. ღონისძიებები ბიზნესთან უშუალოდ უნდა იყოს დაკავშირებული. ყველა საჩუქარი უნდა აღირიცხოს და იქნება "თელიასონერას" საკუთრება.
- კეთილსინდისიერი კონკურენციის და ღია ბაზრის პრინციპების დაცვა სავალდებულოა და საქმიანი გადაწყვეტილებები არც პირადი ურთიერთობებით ან ინტერესებით უნდა იყოს მოტივირებული და არც ამგვარი ურთიერთობებით ან ინტერესები უნდა ახდენდეს ზემოქმედებას ასეთ გადაწყვეტილებებზე.
- შემუშავებული უნდა იყოს საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანილი ანტიკორუფციული პროგრამა. ადეკვატური ტრეინინგის ჩატარებისა და ინფორმაციის გადაცემის შედეგად ეს პროგრამა უნდა იყოს გამჭვირვალე და ეფექტურად დაცული.

3. გარემოსდაცვითი მოთხოვნები

- მომწოდებელს უნდა ჰქონდეს გარემოს მართვის სისტემა, მათ შორის, მიზნები და სტანდარტები, მაგ., ISO14001 ან მისი ეკვივალენტი. მომწოდებელმა უნდა შეამციროს მისი/მომწოდებლის სამუშაოების გარემოზე უარყოფითი ზემოქმედება. მომწოდებელი ვალდებულია

---

[1] საჩუქარი ნიშნავს ღირებულების მქონე ნებისმიერ რამეს, მათ შორის და არა მხოლოდ: კონცერტებს ან სპორტულ ღონისძიებებს, პროდუქტებს, მომსახურებას, გამასპინძლებას, სასტუმროში მოთავსებას, ნაღდ ფულს, დისკაუნტებს, საჩუქრებს, სატრანსპორტო მომსახურებას, დასასვენებლად წასვლას და გაწევრიანებას.

გამოიყენოს ფრთხილი მიდგომა და ეცადოს შეინარჩუნოს და გაზარდოს ბიომრავალფეროვნება.

- მომწოდებელი დაადგენს განახლებადი წყაროებიდან ენერგიის მიღების პრიოტიტეტებს და შეზღუდავს წყლის მოხმარებას, განსაკუთრებით დაზარალებულ ტერიტორიებზე.
- შემოღებული უნდა იყოს მონიტორინგის პროცესი დამაბინძურებელი ნივთიერებებისა თუ ნარჩენების, მათ შორის, ელექტრონული ნარჩენების ატმოსფეროში გაფრქვევაზე, მდინარეებში თუ ზღვებში ჩაღვრაზე და დაყრაზე. მთელი ნარჩენების მართვა უნდა ხორციელდებოდეს სათანადოდ ან მათი განმეორებით გამოყენება – გამჭვირვალედ.
- მომწოდებელი ეცდება შეამციროს საავტომობილო, საზღვაო და სარკინიგზო ტრანსპორტის გამოყენებისას გარემოზე ზემოქმედება. "თელიასონერასთვის" საქონლის ან მომსახურების მოწოდებისას პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს საწვავის ეკონომიურად მომხმარებელ სატრანსპორტო საშუალებებს.
- "მომწოდებელი" ვალდებულია რეგულარუად შეაფასოს ქიმიური ან სხვა ნივთიერებების გამოყენება და დაადგინოს, შესაძლებელია თუ არა მათი ნაკლებად საშიში ალტერნატივებით ჩანაცვლება. ქიმიური ნივთიერებების გამოყენება და განკარგვა უნდა ხდებოდეს უსაფრთხოდ და სწორედ ისე, რომ მინიმუმამდე იყოს დაყვანილი გარემოზე მავნე ზემოქმედება. მომწოდებლის მიერ გამოყენებული ქიმიური ნივთიერებები უნდა იყოს დოკუმენტურად აღრიცხული.
- მომწოდებელმა ან ქვეკონტრაქტორმა არა აქვს ***"თელიასონერას" შავ სიაში*** შეტანილი საშიში ნივთიერებები გამოყენების უფლება. მომწოდებელმა ან ქვეკონტრაქტორმა უნდა ეცადოს მოერიდოს ***"თელიასონერას" ნაცრისფერ სიაში*** შეტანილი ნივთიერებებს. თუ ნივთიერებები ამ ეტაპზე აუცილებელია, უკვე შემუშავებული უნდა იყოს მათი ჩანაცვლების წერილობითი გეგმა.
- ძალზე სასურველია ეკოლოგიური და სოციალური თვალსაზრისით სასარგებლო ინოვაციური პროდუქტებისა და მომსახურების შექმნა, ანუ პროდუქტის დიზაინში ეკო-ეფექტურობის საკითხების გათვალისწინება;
- ანტენების, კოშკურებისა და ანძების არქიტექტურა და ადგილმდებარეობა უნდა ითვალისწინებდეს ელექტრომაგნიტურ ტალღებისს, ხმაურის, ხილვადობის შეზღუდვის, საკუთრების უფლებების, მისაწვდომობის, გარემოზე ზემოქმედებისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების საკითხებს.

3. შესრულება

- "თელიასონერას მომწოდებელთა ქცევის კოდექსი" გათვალისწინებული იქნება მომწოდებლის მიერ ქვეკონტრაქტორებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში. მომწოდებელი ვალდებულია მოთხოვნისთანავე მონაწილეობა მიიღოს "თელიასონერას" მიერ ორგანიზებულ თვითშეფასების პროცესში. "თელიასონერას" აქვს უფლება ახლანდელ, მომავალ ან ყოფილ ობიექტებზე გასვლით ან კამერალურად შეამოწმოს, როგორ ასრულებენ მომწოდებელი და ქვეკონტრაქტორები "მომწოდებელთა ქცევის კოდექსს" და შესაბამის მოთხოვნებს.
- მომწოდებელი ვალდებულია მოთხოვნისთანავე თელიასონერას წარმოუდგინოს მონაცემები და ინფორმაცია.
- მომწოდებელთა მხრიდან "მომწოდებელთა ქცევის კოდექსის" მოთხოვნების მნიშვნელოვანი დარღვევა "თელიასონერას" ანიჭებს უფლებას დაუყოვნებლივ შეწყვიტოს მომწოდებელთან გაფორმებული ნებისმიერი ან ყველა ხელშეკრულება.
- "მომწოდებელთა ქცევის კოდექსის" დარღვევის ან სავარაუდო დარღვევის შესახებ გამოვლენის შემთხვევაში, მომწოდებელი ვალდებულია აღნიშნულის თაობაზე შეატყობინოს "თელიასონერას". ეს გამოყენებული არ იქნება მომწოდებლის ან ქვეკონტრაქტორის წინააღმდეგ, თუ ის კეთილსინდისიერად მოქმედებდა. თუ პირი შენიშნავს ისეთ საქმიანობას ან ეჭვობს ან მას შეატყობინებენ ისეთ საქმიანობის შესახებ, რომლითაც შეიძლება ირღვეოდეს "მომწოდებელთა ქცევის კოდექსი," ამის თაობაზე შეტყობინება უნდა გაიგზავნოს შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: suppliers@teliasonera.com .